სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 ოქტომბერი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/193

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2024 წლის საგაზაფხულო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 16 ივლისის №01-08/459 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 18 ოქტომბრის №01-02/188 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის) 2025 წლის 13 ოქტომბრის №1338179 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2024 წლის საგაზაფხულო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიზნით:

1.1. **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
ა) რუსუდან ცინცაძე - დამსაქმებელი, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ერგეს საბავშვო ბაღის მეთოდისტი, კურიკულუმის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" თანახელმძღვანელი;
ბ) ნორა ფუტკარაძე - დამსაქმებელი, ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანების განყოფილების უფროსი მეთოდოლოგიის დარგში;
გ) ნანა თედორაძე - ქ. ბათუმის №3 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;
დ) ნატალია კუნჭულია - ქ. ბათუმის №13 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;

1.2. **განისაზღვროს შეფასების ადგილი და დრო** - **2025 წლის 30 ოქტომბერი 12:00 საათი**, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, აუდიტორია №210.

2. შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელია) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

5. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე